

2019 წლის შემოდგომაზე ჩატარებული პედაგოგთა კომპეტენციის
დამადასტურებელი გამოცდის სწორი პასუხები და შეფასების სქემა მუსიკის
საგანში

I მოსმენის ნაწილი

1-8 დავალებები. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით)

1.1 ბ) 2.1 დ) 3.1 დ) 4.1 გ) 5.1 ბ) 6.1 ბ) 7. ბ) 8. ა)
1.2 ა) 2.2 ბ) 3.2 ბ) 4.2 გ) 5.2 დ) 6.2 დ)

9. მელოდიური კარნახი. (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა)

დავალების ინსტრუქციაში მოცემულია კარნახის ტონალობა - დო მაჟორი. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. შესაბამისად, ფასდება აღნიშნული მონაცემების სისწორე (ზომა, ბგერის სიმძლავე და გრძლიობა). შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება ფასდება 5, 4, 3, 2, 1 ან 0 ქულით. შეფასების სქემაა:

შეცდომების რაოდენობა	შეფასება
0 %	5
1%-20%	4
21%-40%	3
41%-60%	2
61%-80%	1
81%-100%	0



10. მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი. (მაქსიმალური შეფასება 13 ქულა)

დავალება შედგება 5 საკითხისაგან.

1. ღია კითხვა. (2 ქულა)

მოსმენილი ნაწარმოები მიეკუთვნება სიმღერის ჟანრს. ვოკალი, ფორტეპიანოს თანხლებით, ასრულებს პოეტურ ტექსტს. თხზულების ფორმაა კუპლეტური, მხატვრული შინაარსის გადმოცემა - სადა, მარტივი.

2. დახურული კითხვა, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს. (3 ქულა)

ა) კუპლეტური ფორმა; (1 ქულა)

ბ) რე ბემოლ მაჟორი; (1 ქულა)

გ) D7 T35 (აწ V7 I35, აწ D T). (1 ქულა)

3. ღია კითხვა. (3 ქულა)

სიმღერის საერთო განწყობა ლაღი და მხიარულია, რაც, პირველ რიგში, გადმოცემულია ტემპით, დინამიკური ნიუანსებით (*p* და *pp*), სოპრანოს წკრიალა ხმითა და შესრულების მანერით. ვოკალური მელოდია სადაა, აგებული კონსონანს ინტერვალებზე, ძირითადად, კვარტაზე, კვინტასა და ტერციებზე (მეოთხედი და მერვედი გრძლიობები), მათი შევსება კი ხდება იშვიათი, მსუბუქი სეკუნდებით (მეთექვსმეტელებით). საფორტეპიანო აკომპანემენტი ერთგვაროვანია თითქმის მთელი სიმღერის მანძილზე (გარდა მესამე კუპლეტისა). მასშიც ჭარბობს კონსონანსი ინტერვალები და მარტივი ჰარმონია (T D T, T S T); რიტმული მოძრაობა სექსტოლებით („მოსრიალე“ ქრომატიზმებით) და სინკოპირებული რიტმი, ერთი მხრივ, ლაღ განწყობას ქმნის, მეორე მხრივ კი, წყლის რაკრავს გადმოსცემს და მოხტუნავე თევზის სურათს ხატავს. მესამე კუპლეტიდან მკვეთრად იცვლება ტონალობა - რე ბემოლ მაჟორის ნაცვლად ჟღერს სი ბემოლ მინორი; მინორული კილო უცებ მაბავს მუსიკას, ვოკალური პარტია რეჩიტატიული ხდება და თითო ბგერის სკანდირება შემოდის; იცვლება აკომპანემენტის ფაქტურა და რიტმული სურათიც; სიმღერის ლაღი განწყობა მოულოდნელი საფრთხის შეგრძნებით იცვლება, რომელსაც იწვევს ხაზგასმული აკორდები და კულმინაციისაკენ უფრო დაძაბული ჰარმონია; აკორდები ზოგჯერ პაუზებით წყდება, რიტმული აჩქარებაც ამძაფრებს მუსიკის ხასიათს. კუპლეტის ბოლოსკენ ბრუნდება ძველებური განწყობა და გამომსახველი ხერხები - რე ბემოლ მაჟორი, კონსონანსი ინტერვალები, „გამჭვირვალე“ ფაქტურა და ხალისიანი რიტმი, მაგრამ მუსიკას მცირეოდენი სევდიანი ელფერი დაკრავს, რაც პოეტური ტექსტიდან გამომდინარეობს და შესანიშნავად არის გამოხატული შემსრულებლის მიერ.

4. დახურული კითხვა, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს. (2 ქულა)
რომანტიზმი (XIX საუკუნე); ფრანც შუბერტი.

5. ღია კითხვა. (3 ქულა)

სიმღერის ჟანრი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანრია რომანტიზმის ეპოქაში. მან შესაძლებლობა მისცა კომპოზიტორებს, ახალი ფორმით გადმოეცათ ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყარო და ემოციათა მრავალფეროვნება. ადამიანის ხმა ხომ პირადი განწყობისა თუ განცდის ყველაზე უშუალოდ გამოხატვის საშუალებაა. ბაროკოსა და კლასიციზმის საოპერო, საკონცერტო, სიმფონიური თუ სოლო ინსტრუმენტული ციკლები მე-19 საუკუნეში ჩაანაცვლა სოლო სიმღერის ჟანრმა, ვოკალურმა მინიატურამ, ისევე როგორც, ინსტრუმენტულმა მინიატურამ და მინიატურების ციკლმა.

რომანტიზმმა მუსიკაში (ზოგადად ხელოვნებაში) წინა პლანზე წამოწია სუბიექტური ხედვა და ემოცია, შემოიტანა მხატვრულ ნაწარმოებში ავტობიოგრაფიულობა, გარემომცველ სამყაროსთან კონფლიქტისა და მარტოობის თემები; არსებული სინამდვილით უკმაყოფილო, აწმყოში იმედგაცრუებული რომანტიკოსები განადიდებენ წარსულს და ოცნებობენ ნათელ მომავალზე; სიყვარულისაკენ, როგორც იდეალისაკენ სწრაფვამ შემოიტანა ხეტიალის, ზმანებათა და ინტიმის მხატვრული სახეები. შუბერტი რომანტიზმის ადრეული თაობის წარმომადგენელია და მის შემოქმედებაში ყველა ეს თემაა მოცემული. მას მრავლად აქვს საფორტეპიანო მინიატურა, ფუჟემდეგელია ექსპრომტისა და მუსიკალური მომენტის ჟანრების, შეთხზა მარშები, ვალსები და სხვა საცეკვაო პიესები ფორტეპიანოსათვის; შუბერტს არ უთქვამს უარი კლასიკურ ჟანრებზეც, მან შექმნა 9 სიმფონია, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, საფორტეპიანო სონატები და ფანტაზიები; მაგრამ სიმღერას მის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და არა მხოლოდ რაოდენობრივად - მას ეკუთვნის 600-ზე მეტი სიმღერა და ორი ვოკალური ციკლი „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“ და „ზამთრის გზა“; სიმღერა მისი ინსტრუმენტული შემოქმედების საფუძველიც გახდა სასიმღერო მელოდიების სიუხვითა და განვითარების ვარიანტული ფორმებით.

შუბერტი სიმღერებს წერდა უდიდესი პოეტების (გოეთე, ჰაინე) და მისი თანამედროვე, ნაკლებად ცნობილი გერმანელი პოეტების ტექსტებზე; მან სიმღერა აიყვანა ყოფილი ჟანრიდან მაღალი პროფესიული მუსიკის დონეზე; მისი სიმღერები დიდი ემოციურობით და შინაარსის სიღრმით გამოირჩევიან; მათ შორის არის სადა, მარტივი მინიატურები, ბალადები და დრამატული მონოლოგები. მელოდიურ ვოკალს თან ახლავს საფორტეპიანო აკომპანემენტი, რომელიც ბგერწერით ელემენტსაც შეიცავს, სიუჟეტის ძირითად მომენტს აღწერს და სიმღერაში მოთხრობილი ამბის ემოციასაც გადმოსცემს.

შეფასების სქემა მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის

<p>3 ქულა საკითხი 2. 3. 5.</p> <p>2 ქულა საკითხი 1. და 4.</p>	<p>საკითხი სრულყოფილად არის გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული. აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი მსჯელობით.</p>
<p>2 ქულა საკითხი 2. 3. 5.</p> <p>1 ქულა საკითხი 1. და 4.</p>	<p>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი სწორია, მაგრამ მისი მსჯელობა ზოგადია და სქემატური.</p>
<p>1 ქულა საკითხი 2. 3. 5.</p>	<p>პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, მაგრამ მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.</p>
<p>0 ქულა</p>	<p>აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა. პასუხი არასწორია ან ბუნდოვანი, მოყვანილია არაფრისმთქმელი არგუმენტები და განმარტებები.</p>

II ნაწილი

11-28. დავალებები. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით)

11. ბ) 12. გ) 13. დ) 14. ა) 15. გ) 16. გ) 17. ბ) 18. ა) 19. გ) 20. დ) 21. გ) 22. დ) 23. ბ)
24. ბ) 25. დ) 26. გ) 27. ა) 28. ბ)


29-32. ლა ნოტიდან აგება

(თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით)


29. წმინდა კვინტა;

30. მინორული კვარტსექსტაკორდი;

31. მცირე მაჟორული სექტაკორდი;



32. ჰარმონიული მინორი.



33-35. შესაბამისობის დადგენა. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით)

33.1 დ)

34.1 დ)

35.1 ა)

33.2 გ)

34.2 ე)

35.2 გ)

33.3 ბ)

34.3 ა)

35.3 დ)

36-40. ჭეშმარიტია-მცდარია. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით)

36. ჭეშმარიტია მცდარია

~~ღ~~ მოდულაცია მუსიკაში ტონალობის ცვლას ნიშნავს.

37. ჭეშმარიტია მცდარია

~~ღ~~

38. ჭეშმარიტია მცდარია

~~ღ~~ ბურდონული ბანი ახასიათებს ქართლ-კახურ სიმღერებს.

39. ჭეშმარიტია მცდარია

~~ღ~~

40. ჭეშმარიტია მცდარია

~~ღ~~ საორკესტრო სუიტა „წყლის მუსიკა“ ეკუთვნის გეორგ ფრიდრიხ ჰენდელს.

41-42. ქრონოლოგიის დადგენა. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით)

41.

1	2	3	4
ბ	გ	ა	დ

42.

1	2	3	4
გ	დ	ბ	ა